2010 წელი, 25 თებერვალი – 3 მარტი

ფასი 90 თეთრი

# ახალი განათლება

№6 (480) გამოდის 1998 წლიდან

# განათლება არ არის ბიზნესი, განათლება ქვეყნის მომავალია

**– ბატონო დიმიტრი, დაიწყო რეფორმის მეორე ეტაპი. როგორ შეაფასებთ პირველ ეტაპს, რა მიგაჩნიათ პირველი ეტაპის წარმატებად ან წარუმატებლობად?**

– რეფორმის პირველი ეტაპის ყველაზე დიდი წარმატება ერთიანი ეროვნული გამოცდებია, რომელმაც მოსპო სისტემაში არსებული ყველაზე დიდი პრობლემა – კორუფცია. აბიტურიენტებს საშუალება აქვთ, თავიანთი ნიჭითა და ცოდნით ჩააბარონ უმაღლეს სასწავლებლებში. ეს უდავოდ წარამატებაა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა რეფორმის მეორე ეტაპზე გადავსულიყავით. ბუნებრივია, ამ მიღწევის გარეშე ვერ შევძლებდით იმის დაწყებას, რასაც ახლა ვაპირებთ. საერთოდ, განათლების სისტემა ძალიან რთული სისტემაა და ბევრი რამ დროსთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, თუ უმაღლეს სასწავლებლებში კორუფციის პრობლემა არ მოგვარდებოდა, ვერც სახელმძღვანელოების გრიფირებაზე, ვერც მასწავლებელთა სერტიფიცირებაზე, ვერც ატესტატის წონის გაზრდაზე და ვერც სხვა რამეზე ვისაუბრებდით. ახლა კი შესაძლებლობა გვაქვს, რეფორმის მეორე ეტაპზე ვისაუბროთ.

**– 2010-2011 სასწავლო წლების სიახლეებიდან ყველაზე აქტუალური გახდა სკოლის დამამთავრებელი გამოცდები. რატომ ჩატარდება ეს გამოცდები საგამოცდო ცენტრებში და არა სკოლებში? სკოლა არ არის ამისთვის მზად? და აქვე, პირველ წელს ხომ არ შეიძენს დამამთავრებელი კლასის გამოცდა ფორმალურ ხასიათს?**

– ერთიანი ეროვნული გამოცდები საგამოცდო ცენტრებში ტარდება – ეს წარმატებული პროექტია. როცა პროექტი წარმატებულია, მის შეცვლას არანაირი ლოგიკური ახსნა არ ექნება. ვინაიდან ეროვნული საგამოცდო ცენტრების მექანიზმი უკვე შექმნილია და კარგად გამოცდილიც, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ აწყობილი სისტემით. ამიტომაც ჩატარდება სკოლის დამამთავრებელი გამოცდები ეროვნულ საგამოცდო ცენტრებში. უფრო კონკრეტულად რომ გიპასუხოთ ამ კითხვაზე, დეტალურად უნდა ავხსნა, როგორ მუშაობს ეს სისტემა: ყოველწლიურად სკოლას ამთავრებს, დაახლოებით, 60 ათასი მოსწავლე, აქედან 40 ათასი უმაღლეს სასწავლებელში აბარებს. იმისთვის, რომ მათ არ იარონ გამოცდებზე ცალკე სკოლაში და ცალკე ცენტრში, ერთ ცენტრში ერთდროულად ჩააბარებენ გამოცდას. ანუ ნაცვლად ივნისში – ატესტატის მისაღები გამოცდებისა და ივლისში – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებისა, აბიტურიენტი ივლისში ორივე გამოცდას ერთდროულად ჩააბარებს საგამოცდო ცენტრში. მოსწავლემ, რომელიც გადაწყვეტს, სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს, ატესტატი უნდა მიიღოს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას თავისი ცოდნის მინიმალური კომპეტენციის დამტკიცება მოუწევს – უნდა ჩააბაროს დამამთავრებელი გამოცდები. ხოლო მოსწავლე, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში არ გააგრძელებს სწავლას, მიიღებს სერტიფიკატს ნიშნების ფურცლით, რომლის მიხედვითაც შეუძლია პროფსასწავლებელში ისწავლოს ან დაიწყოს მუშაობა. თუ მას მომავალში გაუჩნდება სურვილი, ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში, ეროვნულ გამოცდებამდე საგამოცდო ცენტრებში მინიმალურ კომპეტენციას ჩააბარებს. პირობითად, თუ აბიტურიენტი აბარებს მათემატიკას, როგორც პროფილურ საგანს, ის ჩააბარებს „ა" და „ბ" დონის ტესტს, ხოლო ვისაც პროფილურ საგნად არჩეული ექნება გეოგრაფია, მათემატიკაში მხოლოდ „ა" ნაწილს ჩააბარებს. ამით მოსწავლეს აღარ მოუწევს გამოცდებზე ორჯერ მისვლა, ერთდროულად ჩააბარებს როგორც დამამთავრებელ, ასევე მისაღებ გამოცდებს.



**– ჩვენი გაზეთის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მასწავლებელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ სერტიფიცირება საჭიროა, თუმცა აქვთ გარკვეული მოთხოვნები: საგამოცდო ტესტების ნიმუშები, კონკრეტული საკითხებით; სერტიფიცირებული პედაგოგების პრივილეგიების განსაზღვრა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით. აღნიშნავენ იმასაც, რომ არ არის საკმარისი ტრენინგები, რომლებიც სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველებს უტარდებათ. ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს გამოცდის შეთავაზებული ფორმა – მასწავლებლის შეფასება მხოლოდ თეორიულად არასაკმარისია, აუცილებელია მისი პრაქტიკული საქმიანობის შემოწმება.**

– მასწავლებელთა სერტიფიცირების 2014 წლამდე გადადებას, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება 2006 წელს იქნა მიღებული, ტაშით შეხვდა საზოგადოება – პროფკავშირებით დაწყებული, მასწავლებლებით დამთავრებული. ამ თემაზე ოთხი წლის განმავლობაში საუბარიც არ ყოფილა. როდესაც წელს გამოვაცხადეთ, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება დაიწყება და ეს იქნება ნებაყოფლობითი, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ არ არის საკმარისი ტრენინგები. სახელმწიფო მასწავლებელს აძლევს ვაუჩერს უნარებსა და პროფილურ საგანში მოსამზადებლად. უნარი სწორედ მასწავლებელთა პრაქტიკის შემოწმებაა – ანუ უნარი ამოწმებს, რამდენად შეუძლია მას მოსწავლესთან ურთიერთობა, მეორე ნაწილი კი მის თეორიულ ცოდნას აფასებს. მასწავლებლებთან შეხვედრებზე სერტიფიცირებას არავინ უარყოფს, უბრალოდ, ზოგიერთი ამბობს, რომ ახლა მზად არ არის ამისთვის. კი ბატონო, მოემზადოს და შემდგომში გაიაროს. ბევრი კი, აცხადებს, რომ სურს პირველივე ეტაპზე გაიაროს სერტიფიცირება, რადგანაც მოტივაცია აქვს თუნდაც იმის გამო, რომ მოემატება ხელფასი ან მენტორი მასწავლებელი გახდება, რომლის სახელფასო დანამატი160 ლარია. იმ მასწავლებელმა, რომელიც არ არის მზად სერტიფიცირებისთვის, რატომ უნდა შეზღუდოს მეორე მასწავლებლის უფლება, რომელიც უკვე მზადაა გამოცდისთვის. ამიტომაც ვაცხადებთ, რომ 2014 წლამდე სერტიფიცირება ნებაყოფლობითია. 2014 წლამდე, წელიწადში ორჯერ, ივლისსა და იანვარში, ჩატარდება სასერტიფიკაციო გამოცდები. ვისაც ექნება სურვილი, გავა გამოცდაზე, ჩვენ არავის ვაძალებთ. ახლა სერტიფიცირების დებულებაში შეგვაქვს ცვლილება, რომელიც სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგების კონფიდენციალურობას დაიცავს, ანუ ის ფაქტი, რომ მასწავლებელი ჩაიჭრა, კონფიდენციალური იქნება.

რაც შეეხება კონკრეტულ ტესტებს, ალბათ, იმ მასწავლებლის კომპეტენციის საკითხი ეჭვქვეშ უნდა დადგეს, რომელიც მოსამზადებლად საგამოცდო ტესტების ნიმუშებს მოითხოვს. მინდა ასეთ მასწავლებელს ვკითხო: როგორ აბარებენ აბიტურიენტები ტესტებს? მათთვის ცნობილია არა ტესტები, არამედ პროგრამა. კომუნისტების დროს, როცა სკოლაში ვსწავლობდით, იყო საგამოცდო ბილეთები, რომელსაც ვიზეპირებდით, ვინც მეტად ნიჭიერი იყო, უფრო იოლად, ზოგი – უფრო რთულად. ასეთი გამოცდის შედეგი საკმაოდ მძიმე იყო – ცოტა ხანში არც ერთ და არც მეორე კატეგორიას იქიდან აღარაფერი ახსოვდა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებასთან ერთად დაინერგა აბსოლუტურად სხვა მიდგომა, რომელიც დასავლურ ქვეყნებშია. მოსწავლეს ვთავაზობთ პროგრამას, რომლის მიხედვითაც შედგენილია ტესტები. მასწავლებლების შემთხვევაშიც იგივეა. განათლების რეფორმის მიზანი დაზეპირება არ არის, ანუ პედაგოგებს ჩვენ ვთავაზობთ პროგრამას, რომლის მიხედვითაც იქმნება ტესტები და არა ტესტებს, რომელიც უნდა ჩააბარონ.

თებერვლის ბოლოს, დაახლოებით, 500-დან 1000 მასწავლებლამდე გაივლის პრეტესტირებას, რითაც გამოიცდება საგამოცდო ტესტები და აპრობირების შემდგომ შევა მასში სათანადო ცვლილებები.

რაც შეეხება საკანონმდებლო ბაზას, თუ რა პრივილეგიებით ისარგებლებენ პედაგოგები – კანონში იმის ჩაწერა, რომ მხოლოდ სერტიფიცირებულ პედაგოგებს მოემატებათ ხელფასი, არასწორია. რა საჭიროა ეს? იქნებ, 2012 წელს, საქართველოს ბიუჯეტი იმდენად გაიზარდოს, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს არა მარტო სერტიფიცირებულ მასწავლებლებს, არამედ ყველას გავუზარდოთ ხელფასი. იმ მასწავლებლებს, რომლებიც სერტიფიცირებას 2013 ან 2014 წლებში გაივლიან, ამ კანონმდებლობით ხელფასის ზრდაზე უარი ვუთხრათ? მოდით, მაშინ ვუთხრათ მასწავლებელს, რომ მისი ხელფასი არასოდეს გაიზრდება და ეს კანონში ჩავწეროთ. მსგავსი რამ შეუძლებელია. საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ ყველა სერტიფიცირებულ მასწავლებელს ხელფასი გაეზრდება, კანონში წერია, მხოლოდ სერტიფიცირებულ მასწავლებელს ექნება შესაძლებლობა გახდეს მენტორი. არის კიდევ უფრო დაკონკრეტება საჭირო?

გვერდი 2

აბიტურიენტებო, თვალი ადევნეთ ჩვენს რუბრიკას და გააკეთეთ სწორი არჩევანი!

„აირჩიეთ, სად ისწავლით"

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
- თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
- საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
- პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

C M Y K

ინტერვიუ

# განათლება არ არის ბიზნესი, განათლება ქვეყნის მომავალია

*პირველი გვერდიდან*

**– მომავალი სასწავლო წლიდან ოთხი ახალი საგნის შემოტანა იგეგმება. რა აუცილებლობითაა ეს განპირობებული და რამდენად რეალურია მოკლე დროში 4 საგნის სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების მომზადება, შესაბამისი პედაგოგების მოძიება ან გადამზადება?**

– სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების სწავლება სკოლებში ძალიან მნიშვნელოვანია, მარტივი და გასაგები მიზეზის გამო, თუმცა გამოითქვა საწინააღმდეგო აზრიც, რა საჭიროა ეს საგანი, პატრიოტიზმი ხომ ლიტერატურითა და ისტორიითაც ისწავლება. არც ერთ ამ სახელმძღვანელოში არ წერია, თუ რა უნდა გააკეთო მაშინ, როცა მტერი გბომბავს, ან რა უნდა გააკეთო მაშინ, როცა კასეტურ ბომბს ან ნაღმს დაინახავ. ეს არის სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების საგანი, რომელიც სწავლების სამივე საფეხურს მოიცავს. პირველ საფეხურზე, პირველ-მეოთხე კლასებში, ექსპერტები უკვე მუშაობენ, მოსწავლეებს ასწავლიან საგზაო უსაფრთხოებას, რა უნდა გააკეთონ მიწისძვრის, წყალდიდობის შემთხვევებში და ა.შ. მეორე საფეხურზე ბავშვები ისწავლიან, რა არის რადიაცია, როგორ უნდა აღმოუჩინო პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს, მესამე, დამამთავრებე, საფეხურზე კი – საქართველოს შეიარაღებული ძალების შეიარაღების მიმოხილვასა და საქართველოს არმიის ისტორიას.

საგნის პილოტირება, რამდენიმე სკოლაში, მესამე ტრიმესტრში დაიწყება. თუ განსაკუთრებული პრობლემები არ გამოვლინდა, სექტემბრიდან საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში საგნის სწავლება მასიურად დაიწყება.

რაც შეეხება სპორტს, თუ ფიზკულტურის გაკვეთილების მეთოდოლოგიას გაეცნობით, ნახავთ, რომ ეს საბჭოური მეთოდოლოგიით სწავლებაა. მაგალითად, რამდენჯერ უნდა დაჯდეს ან ადგეს ბავშვი და ა. შ. რაც მთავარია, ამას არავინ არ ასრულებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ფიზკულტურის გაკვეთილი სკოლებში არ ტარდება, ეს ფაქტია. ამის მთავარი მიზეზი კი სწორედ მეთოდოლოგიაა. მოსწავლეს არანაირი ინტერესი არ აქვს, იაროს ფიზკულტურის გაკვეთილებზე. ფიზკულტურის სპორტით შეცვლა, პირველ რიგში, მეთოდოლოგიის შეცვლას გულისხმობს, შეიქმნება სასკოლო ლიგები: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის და ა.შ. მუდმივად იქნება შეჯიბრი, კონკურენციას კი შედეგი მოაქვს.

რაც შეეხება უშუალოდ მეთოდოლოგიას, ამ საკითხზე მუშაობენ ექსპერტები: ექიმები, ფსიქოლოგები, თავისთავად სპორტის წარმომადგენლები, ანუ ერთობლივი პროექტია. მეთოდოლოგია, ბუნებრივია, გაითვალისწინებს როგორც საერთო ფიზიკურ მომზადებას, ისე სპორტის სახეობებს. სკოლებს, ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, სახეობებს ასარჩევად შევთავაზებთ და მერე დავიწყებთ დახმარებას ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. სკოლებში სპორტის სწავლება 2010 წლის სექტემბრიდან დაიწყება. სადაც უკვე არის შესაფერისი ინფრასტრუქტურა, ბუნებრივია, გამოვიყენებთ. გავაერთიანებთ განათლების სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების რესურსებს. ამჟამად, მოლაპარაკება გვაქვს მერიასთან და, დაახლოებით ერთ კვირაში, ცნობილი გახდება ძალიან საინტერესო პროექტის შესახებ, რომელსაც მერიის მხარდაჭერით დავიწყებთ თბილისში, შემდგომ კი რეგიონებში.

სპორტის სახეობების არჩევა სკოლას იმ ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე შეეძლება, რომელიც მას აქვს. თუ სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, როგორც მინიმუმ, შესაძლებელია ჰქონდეს სპორტის ოთხი სახეობა: ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ტანვარჯიში. ძალიან მნიშვნელოვანია რესურსების გაერთიანება, მაგალითად რაგბის ფედერაციამ უნდა ააშენოს ორი მოედანი დიდ დიღომში. ფედერაციასთან შევთანხმდით, რომ ორივე მოედანი აშენდება დიღომში მდებარე ერთ-ერთი სკოლიდან ასი მეტრის რადიუსში, ანუ ახლომდებარე სკოლას შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს ამ სტადიონით. მაგალითად, ბორჯომში ახალი სკოლა დგას სტადიონის გვერდით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობაში დარბაზიც არის, სტადიონის ინფრასტრუქტურასაც გამოიყენებს სპორტის გაკვეთილებისთვის.

კიდევ ერთ საგანზე – კულტუროლოგიაზე მუშაობენ ექსპერტები. ველოდები მათ მოსაზრებებს, შესაძლებელია ეს იყოს ცალკე საგანი ან სხვა საგნებთან ინტეგრირებული. ორივე მისაღები ფორმაა, კერძო სკოლებში ეს საგანი ცალ-ცალკეც ისწავლება და ინტეგრირებულადაც.

**– შეინარჩუნებენ თუ არა ფიზკულტურის მასწავლებლები სამსახურს?**

– ფიზკულტურის მასწავლებლები გაივლიან კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს და ამის შემდეგ ჩაატარებენ სპორტის გაკვეთილებს. ასე რომ, არავინ არ აპირებს ფიზკულტურის მასწავლებლების სკოლიდან გაშვებას, დარჩებიან და იმუშავებენ სკოლებში.

**– რის ხარჯზე მოხდება ახალი საგნების სწავლება, გაკვეთილების რაოდენობა გაიზრდება თუ რომელიმე საგნის საგაკვეთილო დრო შემცირდება?**

– ახალი საგნების შეტანით არ ვაპირებთ საათობრივი ბადის გაზრდას, რათა მოსწავლე ზედმეტად არ დავტვირთოთ. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეთორმეტე კლასში, სექტემბრიდან, პარალელურად ჩატარდება აბიტურის გაკვეთილები, ანუ XII კლასში ის საგნები დაბრუნდება, რომლებიც ამოღებული იყო პროგრამიდან, მაგალითად, ქიმია. საათობრივი ბადე იმის გათვალისწინებით შედგება, რომ მოსწავლეს მიეცეს განვლილი მასალის გამეორების საშუალება და ყველა ბავშვისა და მასწავლებლის ინტერესი იქნეს დაცული. თუ რაიმე პრობლემაა, ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, ვცდილობთ, პრობლემა ვიპოვოთ და გამოვასწოროთ. მაგალითად, XII კლასში სასწავლო პროგრამის პრობლემაა, ამიტომაც შემოვიღეთ აბიტურის პროგრამა, რომელიც ხარვეზს შეავსებს.

**– იცვლება თუ არა სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები?**

– სამწუხაროდ, საქართველოში დამკვიდრდა აზრი, სტერეოტიპი, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა სახელმძღვანელოდან გამომდინარე უნდა დაიწეროს. ეს მცდარი აზრია. ერთიანი სასწავლო გეგმა იწერება სახელმწიფოს მიერ, ერთიანი სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კი იქმნება სახელმძღვანელო. 2010 წლის სექტემბერში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა გვექნება, რომელიც, პირველად საქართველოში, შემოიტანს ე.წ. აუცილებელ კომპონენტს. ჩვენ მარტო სახელმძღვანელოების პრობლემა კი არ გვაქვს, არამედ ეროვნული სასწავლო გეგმის პრობლემაც. როცა მასწავლებელს ვეუბნებით, მაგალითად, VIII კლასში უნდა ასწავლოთ ილია ჭავჭავაძე, კონკრეტულად არ ვუთითებთ ნაწარმოებს, შედეგად ვიღებთ შემდეგ ვითარებას – საგარეჯოში ბავშვი სწავლობს ერთს, თბილისში – მეორეს, გორში კიდევ სხვას. სახელმძღვანელოების ავტორები ამ სიტუაციას კარგად იყენებენ, ერთი ირჩევს ილია ჭავჭავაძის ერთ ნაწარმოებს, მეორე – მეორეს და ა.შ. ანუ მათ საკმაოდ დიდი შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ სხვადასხვა ნაწარმოებები. ამით, პირველ რიგში, ზარალდება მოსწავლე, თუმცა ეს არც მასწავლებლებს მოსწონთ. ამიტომ, ახალი სასწავლო გეგმა შემოიტანს აუცილებელ კომპონენტს, სასწავლო გეგმის 60 პროცენტი სახელმწიფოს მიერ იქნება განსაზღვრული, 40 პროცენტი დარჩება ის კომპონენტი, რომელსაც მასწავლებელი თავად შესთავაზებს მოსწავლეს. ამით ყველა სკოლაში კონკრეტული სტანდარტის შენარჩუნებას უზრუნველვყოფთ. ეს, პირველ რიგში, მოსწავლეების ინტერესების დასაცავად კეთდება. თუმცა, იდეა მასწავლებლებისთვისაც მისაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა სექტემბრისთვის უკვე მზად იქნება, ერთი წლით გადავადდება სკოლებში მისი შემოტანა იმიტომ, რომ მოესწროს ახალი სახელმძღვანელოების მომზადება. ე.ი. სექტემბრისთვის დაიწყება ახალი სასწავლო გეგმების დანერგვა, თუმცა არა თორმეტივე კლასში, არამედ პირველიდან მეექვსე ან პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც 2013-2014 წლამდე დამთავრდება და გეგმა, რომელსაც ახლა შევიმუშავებთ, ხუთწლიანი სასწავლო გეგმა იქნება, ე.ი. ხუთი წლის განმავლობაში აღარ შეიცვლება, შესაბამისი ვადა ექნება სახელმძღვანელოებსაც.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ სახელმძღვანელოების სფერო ნაკლებად რეგულირებადია სახელმწიფოს მიერ. აბსოლუტურად სწორი მიდგომაა დეცენტრალიზაცია, როცა სახელმწიფო ნაკლებად ერევა კონკრეტული პროცესების რეგულირებაში, მაგრამ როცა საქმე სასკოლო სახელმძღვანელოებს ეხება, ვფიქრობ, სახელმწიფო მეტად უნდა ჩაერიოს რეგულირების პროცესში.

განათლების სფერო საჭიროებს კონკრეტულ რეგულაციებს, მაკრომენეჯმენტის დონეზე. სახელმწიფომ უნდა დააწესოს კონკრეტული სტანდარტები. ეკონომიკური ბაზარი ამას ვერ დაარეგულირებს, ეს გამოცდილებამაც გვიჩვენა. იმის გამო, რომ არ არსებობს ტექნიკური სტანდარტები, ზარალდებიან ბავშვები, ეს სერიოზული პრობლემაა. სამოქალაქო დარბაზის ფარგლებში, დღეს შეხვედრა მაქვს გამომცემლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ექპერტებთან, სწორედ ტექნიკურ სტანდარტებზე სასაუბროდ, რომელიც მზადაა განსახილველად. სახელმძღვანელოების მესამედს ფასი არ აწერია, რაც სპეკულაციის საბაბი ხდება. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს ყდაზე განთავსებული რეკლამები, ხშირად, ეწინააღმდეგება რეკლამის შესახებ კანონს.

ტექნიკური სტანდარტები ბაზარს დაარეგულირებს, მაგრამ თუკი სახელმწიფო გვერდზე გადგება და იტყვის, რომ ამ პროცესებში არ ერევა, ბუნებრივია, არაფერი მოგვარდება.

გრიფირებულ სახელმძღვანელოებს არ ახლავს ექსპერტთა რეცენზიები. აუცილებელია, ტექნიკურ სტანდარტებში შევიდეს რეცენზია, რათა მშობელს საშუალება მიეცეს წაიკითხოს, რატომ უნდა ისწავლოს მისმა შვილმა ამ სახელმძღვანელოთი. ჩემი შვილი წელს მიდის სკოლაში და ძალიან მაინტერესებს, ვინ მისცა დადებითი რეცენზია იმ დედაენას, რომლითაც მან უნდა ისწავლოს. გარდა ამისა, არ არსებობს არავითარი კონტროლის მექანიზმი, რომელიც თავიდან აგვაცილებს გრიფირებული სახელმძღვანელოს შეცვლის შესაძლებლობას გამომცემლობის მხრიდან. სამწუხაროდ, ასეთია რეალობა. იმის გამო, რომ არავითარი ხელშეკრულება არ არსებობს გამომცემელსა და სახელმწიფოს შორის, გამომცემლობები ამას ხშირად სათავისოდ იყენებენ და ცვლიან გრიფირებული სახელმძღვანელოს შინაარსს. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი ცვლილებები გამომცემელთა უკმაყოფილებას გამოიწვევს, რადგანაც თავიანთი ბიზნესინტერესი აქვთ, მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენთვის განათლება არ არის ბიზნესი, განათლება ქვეყნის მომავალია. პრობლემაა შრიფტებთან დაკავშირებითაც, მაგალითად, დედაენის სახელმძღვანელოები სხვადასხვა შრიფტითაა დაბეჭდილი, არ არის გათვალისწინებული არც სპეციალისტის, არც ფსიქოლოგის, არც ექიმის რჩევები. ისინი თვითნებურად ირჩევენ შრიფტებს. არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს – სახელმძღვანელოში მოსწავლეები ჩანაწერებს აკეთებენ, თუმცა, ყველა სახელმძღვანელოს ახლავს რვეული, რომელიც ანალოგიურია სახელმძღვანელოში მოცემული ჩანაწერების ადგილებისა. ბუნებრივია, აქაც ხელოვნურად არის შექმნილი წიგნში და რვეულში ერთდროულად წერის აუცილებლობა. რაც შეხება იმას, რომ ეს დასავლური გამოცდილებაა, აქვე გეტყვით, რომ ეს მცდარი არგუმენტია, რადგან დასავლეთში არსებობს სახელმძღვანელოები და „ტესტბუქები", სახელმძღვანელოებში არ წერენ და „ტესტბუქებში" კი წერენ. გარდა ამისა, ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ყოველწლიურად მშობელს უჭირს ახალი სახელმძღვანელოს შეძენა, ჩანაწერიანი სახელმძღვანელო კი აღარავის გამოადგება.

სახელმწიფომ კიდევ ერთი ტრადიცია შეცვალა – პირველკლასელ მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს საჩუქრად გადასცემდა. წელს 8 მილიონი ლარი გამოიყო იმისთვის, რომ სოციალურად დაუცველ ბავშვებს ვუყიდოთ სახელმძღვანელოები და არა ყველა პირველკლასელს. რა დააშავა მესამე ან მეხუთეკლასელმა ხელმოკლე ოჯახის შვილმა? ეს სახელმძღვანელოები დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში, მოსწავლე კლასის დამთავრების შემდეგ სახელმძღვანელოებს სკოლის ბიბლიოთეკაში დატოვებს, რათა მომავალ წელს სხვებმა გამოიყენონ.

წელს, ივლისში, პირველად ვეტყვით გამომცემლებს, თუ რა სახელმძღვანელოს გამოიყენებენ და რა რაოდენობით მომავალ სასწავლო წელს სკოლები. ანუ ვეტყვით ზუსტ რაოდენობას, მოთხოვნის შესაბამისად, კონკრეტულ სახელმძღვანელოზე, ბუნებრივია, მათი გადასაწყვეტია, თუ რამდენს დაბეჭდავენ. რაც მთავარია, როგორც გითხარით, გამომცემლებს ეს უკვე ივლისში ეცოდინებათ, რადგან სკოლები, მასწავლებლები სახელმძღვანელოებს აირჩევენ არა სექტემბერში, არამედ ივნის-ივლისში.

**– ხომ არ გაიაფდება სახელმძღვანელოები?**

– არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიზარდოს სახელმძღვანელოს ფასი, თუმცა დიდი ძალისხმევა და ჭიდილი მოგვიწევს გამომცემლებთან, რომ სახელმძღვანელო გაიაფდეს.

**– რა გახდა სასწავლო გეგმების თავიდან დაწერის მიზეზი. რატომ თქვით უარი რეფორმის პირველ ეტაპზე შექმნილ სასწავლო გეგმებზე?**

– ვერ გეტყვით, რომ ყველაფერზე უარი ითქვა, მაგრამ ბევრი საკითხია დასახვეწი. მაგალითად, ვაღიარეთ, რომ შეცდომა იყო ტრიმესტრული სწავლება, რაც, ბუნებრივია, სასწავლო გეგმებზე აისახა; შეცდომა იყო ისიც, რომ სახელმწიფომ სწავლის აუცილებელი კომპონენტი არ დააწესა სასწავლო გეგმის მიხედვით, ანუ ეროვნულ სასწავლო გეგმაში არ ჩამოყალიბდა სწავლის სავალდებულო 60-პროცენტიანი კომპონენტი, რამაც გამოიწვია ქაოსი – ერთი სკოლა ერთს ასწავლის, მეორე – მეორეს და ა.შ. ძირითადად, სასწავლო გეგმებში ეს ორი მნიშვნელოვანი შეცდომა იყო.

**– სასწავლო გეგმების ნაკლად ხომ არ მიგაჩნიათ ისიც, რომ მეთორმეტე კლასის სასწავლო და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამებს შორის არ არის თანხვედრა, რაც აბიტურიენტთა უკმაყოფილებას იწვევს და გარკვეულწილად, ხელს უწყობს რეპეტიტორობას. ამ მიმართულებით თუ შეიცვლება რაიმე?**

– წესით, ეს თანხვედრა თავისთავად უნდა მომხდარიყო, რადგან არ მოხდა, ჩვენ ამ საკითხზე სპეციალურად ვამუშავეთ ეროვნული საგამოცდო ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმების თანამშრომლების ჯგუფი – მათ შეადარეს პროგრამები და ერთმანეთს შეაჯერეს. ეს აუცილებელი იყო მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე.

**– რა ცვლილებები იგეგმება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მხრივ? რას გულისხმობს სასკოლო სასადილოების ახლებურად მოწყობა?**

– სასადილოები ყველა სკოლაში მოწესრიგდება. ბაზარზე მსხვილი კომპანიები შემოგვყავს და სასადილოები გაიყოფა ლოტებად. ერთი სასადილოს მუშაობა არ არის მომგებიანი ბიზნესი და, ბუნებრივია, ერთი სასადილო ვერანაირ პროფიტს ვერ ნახავს, აქედან გამომდინარე, სერვისიც და პროდუქტის ხარისხიც დაბალი იქნება. როდესაც კომპანიას 50 სასადილო ექნება, შესაბამისად, უფრო დიდი პროფიტიც იქნება და უფრო ხარისხიანი პროდუქტიც. ამიტომ სახელმწიფო დააწესებს სტანდარტებს, რათა ბავშვის ინტერესები მაქსიმალურად იქნეს დაცული. სასადილოებში ვაჭრობა არ იქნება ნაღდი ფულით, შემოვა ბარათები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს მაქსიმალური გარანტიაა იმისა, რომ მშობელი შვილს ფულს მხოლოდ საჭმლის საყიდლად მისცემს. ბარათს მოსწავლე ვერსად ვერ გამოიყენებს, ის მიბმული იქნება მხოლოდ სკოლის პორტალზე. ორ კვირაში, თბილისის რამდენიმე სკოლაში დაიწყება სასადილოებისა და პორტალების პილოტირება, რომელსაც ბანკები დაამონტაჟებენ.

**– განათლების რეფორმის მეორე ეტაპის სიახლეები ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შეეხო. ხომ არ იგეგმება უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის გადახედვა?**

– ბუნებრივია, ცვლილებები აქაც იქნება. აპრილში პარლამენტში განსახილველად შედის კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც უქმდება უმაღლესი სასწავლებლის ლიცენზირება, მის ნაცვლად შემოდის ავტორიზაცია და რჩება აკრედიტაცია. უფრო კონკრეტულად რომ ავხსნა, თუ რას ნიშნავს ყველაფერი ეს, ციფრებს მოვიშველიებ. საქართველოში, დაახლოებით, 270 უმაღლესი სასწავლებელია, აქედან 70 – აკრედიტებული, რომლის დიპლომსაც სახელმწიფო აღიარებს. რჩება ის 200 უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ლიცენზირებულია, მაგრამ არ არის აკრედიტებული, სადაც 18 ათასი სტუდენტი სწავლობს. შესაბამისად, არც მათ სწავლას ვაფინანსებთ და არც მათ დიპლომს ვაღიარებთ. ეს არის უმაღლესი განათლების ჩრდილოვანი სექტორი, ანუ ჩვენ არც კი ვიცით, რას ასწავლიან ამ უმაღლეს სასწავლებლებში – არანაირი სახელმწიფო სტანდარტი, არავითარი გეგმა. ჩვენ მათ ვთავაზობთ, რომ გამოვიდნენ ამ ჩრდილიდან, გაიარონ ავტორიზაცია – დაექვემდებარონ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ კონკრეტულ სტანდარტებს. თუკი ავტორიზაციას ვერ გაივლიან, უნივერსიტეტის რანგში ფუნქციონირების უფლება არ ექნებათ. თუმცა, როგორც სააქციო საზოგადოებას ან შპს-ს შეუძლიათ, მსურველებს არაფორმალური განათლება მისცენ. ამის შესახებ აკრედიტებული სასწავლებლების რექტორებთან გვქონდა საუბარი, მათ ეს იდეა მოიწონეს, მიიჩნევენ, რომ უმჯობესია, პროცესი გამჭვირვალე იყოს და ვიცოდეთ, როგორი სასწავლო დაწესებულებები გვაქვს იმ 200 უმაღლესი სასწავლებლის სახით, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და არავინ იცის, რას აკეთებს.

**– ავტორიზაციაგავლილი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დიპლომს სახელმწიფო პირველივე წელს აღიარებს, თუ ეს შეეხება, მხოლოდ და მხოლოდ, ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტებს?**

– სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტების დიპლომს.

წელს კიდევ ერთი სიახლე იქნება – შემოდის ახალი კომპონენტი – „კომუნითი კოლეჯი", რომელიც მუშაობს ევროპასა და შეერთებულ შტატებში. ახალგაზრდას, რომელმაც ვერ ჩააბარა ვერც სკოლის და ვერც ერთიანი ეროვნული გამოცდები, შეუძლია მივიდეს ამ კოლეჯში და ორი წლის განმავლობაში ისწავლოს ის საგნები, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება, პარალელურად მოემზადოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ან მინიმალური კომპეტენციის ჩასაბარებლად. რაც მთავარია, ამავდორულად ის კონკრეტულ პროფესიასაც დაეუფლება. თუკი კოლეჯის კურსდამთავრებული ერთიან ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებს, უმაღლეს სასწავლებელში პირდაპირ მეორე კურსზე გააგრძელებს სწავლას. ვისაც აღარ ექნება სწავლის გაგრძელების სურვილი, ის დაუფლებული იქნება პროფესიას და კოლეჯის დიპლომს აიღებს.

*მაკა ყიფიანი*
*ლალი ჯელაძე*

აირჩიეთ, სად ისწავლით

# გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
## აცხადებს მიღებას საბაკალავრო და მედიკოსის პროგრამებზე

- **იუნესკოს გამოკვლევით, უნივერსიტეტი, დასაქმების მაჩვენებლით, პირველ ხუთეულშია დასახელებული**
- **სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებით, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის, I ადგილზეა (საქართველოს მთავრობის სხდომის მონაცემები)**

## გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი გთავაზობთ:

- უახლესი ლაბორატორიული ტექნიკით აღჭურვილ უნივერსალურ სასწავლო რესურსებს – საქართველოში ერთადერთ საფანტომო ტრენაჟორულ ცენტრს, კრიმინალისტიკის ლაბორატორიას, სატელევიზიო სტუდიას, ლინგვისტიკის ცენტრს და ა. შ.
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივ პროგრამებს ორმაგი დიპლომისა და ხარისხის მინიჭებით

*და კიდევ ...*

**უნივერსიტეტი ითვალისწინებს უპრეცედენტო სოციალურ და წამახალისებელ პაკეტებს**

- სტუდენტებს, რომლებიც პირველ ნომრად აირჩევენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს, ავტომატურად შეუმცირდებათ გადასახადი 10%-ით.
- გრანტის მფლობელი სტუდენტები, რომლებიც ერთობლივ საერთაშორისო პროგრამებზე დარეგისტრირდებიან, მოიპოვებენ სახელმწიფო გრანტის შესაბამისი ოდენობის საუნივერსიტეტო გრანტსაც, ფორმულით **„სახელმწიფო გრანტი + საუნივერსიტეტო გრანტი“**;
- განსაკუთრებული ფინანსური შეღავათებია გათვალისწინებული ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის;
- ყველა სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას 100 ლარის ოდენობით;
- ფინანსური შეღავათებია გათვალისწინებული სხვა ცალკეულ შემთხვევაშიც, რაც განიხილება ინდივიდუალურად, როგორც წესი, სტუდენტის სასარგებლოდ.

**საბაკალავრო პროგრამები:**

- სტომატოლოგია;
- ფარმაცია;
- სამართალმცოდნეობა;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- ტელე-რადიოჟურნალისტიკა;
- ფსიქოლოგია;
- სოციოლოგია (მედია, კულტურა);
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
- ტურიზმის მენეჯმენტი;
- მენეჯმენტისა და ადმინისტრირების ამერიკული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის გერმანული პროგრამა.

**ერთობლივი პროგრამები:**

- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ბრიტანულ-უნგრული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ამერიკული პროგრამა;
- ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ქართულ-ბრიტანული პროგრამა.

**ინტეგრირებული პროგრამა:**

- ტელე-რადიოჟურნალისტიკის ქართულ-ბრიტანული ინტეგრირებული პროგრამა.

მისამართი: ჯანო ბაგრატიონის 6. ტელ.: 38 44 06; 38 56 95 ფაქსი: 25 29 81. www.gruni.edu.ge

# თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

TBILISI HUMANITARIAN UNIVERSITY



ვალენტინა საყვარელიძე
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია სასწავლო პროცესის გამართულობასა და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაზე, სწავლისათვის სათანადო პირობების შექმნასა და სტუდენტის შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარებასა და პროფესიულ დახელოვნებაზე. უნივერსიტეტი არ ხარჯავს ფინანსურ რესურსებს პიარსა და რეკლამაზე და მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის საუკეთესო რეკლამა მისი საქმიანობით კმაყოფილი სტუდენტია.**

**აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება – თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი 2010-2011 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტებს სთავაზობს ახალ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებსა და ტრადიციულად ზრუნავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნის გავრცელებასა და კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.**

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მისაღები კონტინგენტი 2010-2011 სასწავლო წელს 300 სტუდენტია, საიდანაც 120 ადგილი გათვალისწინებულია სამართლის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამისათვის, 90 ადგილი ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული ბიზნესისა და მართვის საბაკალავრო პროგრამისათვის, 50 ადგილი – ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმამანთლებლო პროგრამისათვის, ხოლო 40 ადგილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ – ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ რეალიზებული ევროპეისტიკის საბაკალავრო პროგრამისათვის.

ჩვენი უნივერსიტეტის მიერ რეალიზებულია საკმაოდ საინტერესო სამაგისტრო პროგრამებიც, რომელთა თაობაზე დეტალური ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.thu.edu.ge .

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის არჩევის შემთხვევაში, სტუდენტებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზებით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, კომპიუტერული კლასებითა და ინტერნეტთან შეუზღუდავი წვდომით, კრიმინალისტიკური ლაბორატორიითა და ლინგაფონური კაბინეტით, სტომატოლოგიური ლაბორატორიითა და საკონფერენციო დარბაზით, რომელიც აღჭურვილია ვიდეო კონფერენციისა და პრეზენტაციათა უახლესი ტექნიკური აღჭურვილობებით.

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, ითვალისწინებს რა გლობალური ეკონომიკური კრიზისისა და საქართველოს მოსახლეობის მატერიალურ შესაძლებლობებს, აბიტურიენტებს სთავაზობს სწავლების ზომიერ ტარიფებს (სწავლების წლიური ტარიფია – 3000 ლარი), რათა ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს აბიტურიენტთა შესაძლებლობა, გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, ხოლო მეორე მხრივ, შენარჩუნებულ იქნეს უნივერსიტეტში სწავლების მაღალი ხარისხი და მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

**აბიტურიენტების ყურადღებას მივაპყრობთ ერთ ტექნიკურ უზუსტობაზე, რომელიც ბიზნესისა და მართვის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ცნობარში გაიპარა.**
**მეოთხე არჩევით საგნად ცნობარში შეცდომით მითითებულია ისტორია, ნაცვლად მათემატიკისა და აბიტურენტებს ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, მათთვის სასურველი უნივერსიტეტის არჩევისას.**



კახი ყურაშვილი
თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი

**წელს უნივერსიტეტმა აბიტურიენტებს შესთავაზა ახალი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ევროპეისტიკაში, რომლის ფარგლებშიც ორი უცხო ენის ინგლისურისა და გერმანულის საფუძვლიანი შესწავლის გარდა, აქცენტები გაკეთდება ევროკავშირის სტრუქტურის, სამართლისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებზე. მისაღები კონტინგენტი, პირველ ეტაპზე, 40 ადგილით განისაზღვრა.**




# სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიღწეულ წარმატებებზე, სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე, გვესაუბრება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე

**– დაინტერესება თქვენი სასწავლებლის მიმართ აბიტურიენტებისა და სტუდენტების მხრიდან საკმაოდ დიდია როგორ ფიქრობთ რა განაპირობებს მათ არჩევანს, რა სიახლეებით ხვდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალ ერთიან ეროვნულ გამოცდებს?**

– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი დაინტერესება აბიტურიენტებისა და სტუდენტების მხრიდან მართლაც რომ დიდია. სწავლა აქ ფრიად საინტერესო და პრესტიჟულია. შარშან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე 27000 აბიტურიენტიდან 16 000 აბიტურიენტს განაცხადი სოხუმის უნივერსიტეტზე ჰქონდა. უნივერსიტეტის წინსვლა ბევრმა გარემოებამ განაპირობა. უნივერსიტეტის მართვის თანამედროვე მეთოდების სწორად გამოყენებამ ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა. ამას გარდა, სხვა სასწავლებლებისაგან განსხვავებით ჩვენთან სწავლის საფასური შედარებით დაბალია, მოქმედებს შეღავათების კომისიაც. ჩვენი უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში, რომელიც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ ქართული ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. დამეთანხმებით ალბათ, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფხაზეთში დაბრუნების ერთ-ერთი სიმბოლოა.

**2009-2010 სასწავლო წელს სტუდენტებისათვის მზადდება:**

- ელექტრონული ბაზა, რომელიც ამარტივებს როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტის სასწავლო პროცესის დაგეგმვას;
- შესაძლებელი გახდება სტუდენტის ფინანსური მდგომარეობის ხედვა ავტორიზებული მომხმარებლისათვის (როგორც სასწავლო დეპარტამენტის, ასევე ფაკულტეტის თანამშრომელთათვის);
- ფაკულტეტის წარმომადგენელს შეუძლია ნახოს სტუდენტის სრული ანკეტური თუ სხვა მონაცემები, მას ასევე ხელეწიფება ანგარიშის ამობეჭდვა და გარკვეული მონაცემების Excel-ის ფაილში გადატანა;
- საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობა ამჟამად 2246 შეადგენს. აქედან, პირველ საფეხურზე 1691 სტუდენტი სწავლობს, მეორე საფეხურზე – 542 სტუდენტი, ხოლო მესამე საფეხურზე – 13 სტუდენტია.

**ამჟამად ფუნქციონირებს 7 ფაკულტეტი:**

- მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის;
- იურიდიული;
- განათლების;
- ეკონომიკისა და ბიზნესის;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა;
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა.

**– როგორ ვითარდება სოხუმის უნივერსიტეტში სამეცნიერო სექტორი და რამდენი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს ამჟამად?**

– უნივერსიტეტში 11 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი მუშაობს: **განათლების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი; საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ახალი ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; სამართლის ინსტიტუტი; არქეოლოგიის ინსტიტუტი; ბიოლოგიისა და მედიცინის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

სოლიდურ ფინანსებს ვდებთ სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. შესაბამისად, უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო სექტორის გაძლიერებას. ჩატარდა და კვლავაც დაგეგმილია ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმის ორგანიზება. მაისის თვეში, მაგალითად, იგეგმება აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, ქართველთა და აფხაზთა დიდი შვილის, პროფესორ ზურაბ ანჩაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის „კავკასია – წარსული და თანამედროვეობა“ ჩატარება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები მონაწილეობენ საზღვარგარეთ სამეცნიერო ფორუმებში და სტაჟირებას გადიან უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში.



**– დღეისათვის რამდენი სადოქტორო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტში?**

– სოხუმის უნივერსიტეტში დღეისათვის 11 სადოქტორო პროგრამა ფუნქციონირებს. ესენია:

**არქეოლოგია; საქართველოს ისტორია; თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია; მათემატიკური მოდელირება და კომპიუტერული მეცნიერებანი; მიკრობიოლოგია; ფიზიკური ორგანული ქიმია; ეკოლოგია; ლინგვისტური ქართველოლოგია; მარკეტინგი; ბიზნესის ადმინისტრირება; ეკონომიკა.**

სოხუმში ფუნქციონირებისას სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომებს თბილისში ან ერევანში ვიცავდით. დღეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციების დაცვა უკვე წარმატებით ხორციელედება. ეს დიდი მონაპოვარია! ჩვენ ამას დევნილობაში მივაღწიეთ და ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**– რა კეთდება უნივერსიტეტში ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დასაახლოვებლად და რა სახის თანამშრომლობას ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებლებთან დადებული მემორანდუმი?**

– უნივერსიტეტს მრავალმხრივი კავშირები აქვს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, განსაკუთრებით გერმანიისა და თურქეთის უნივერსიტეტებთან. კერძოდ, საერთაშორისო პროექტებიდან აღსანიშნავია, საბერძნეთის პირეუსის უნივერსიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი; ადნან მენდერესისა და სტამბოლის ფატიჰ უნივერსიტეტებთან; გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობა. ჩვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოეთის უნივერსიტეტებში სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლით პროგრამებს. წარმატებით მუშაობს სტუდენტური გაცვლითი პროგრამები. ამ მხრივ ძალზე საინტერესო თანამშრომლობა დავიწყეთ გერმანიის კონტანციის უნივერსიტეტთან. ეს უმაღლესი სასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტია გერმანიაში. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თანამშრომლობა დაიწყება იურიდიულ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ (გერმანისტიკა და არქეოლოგია) სპეციალობებში, დაგეგმილია ერთობლივი კონფერენციების ჩატარება, პროფესორების მოხსენებები და სტუდენთტთა გაცვლა. უკვე რამდენიმე წელია, მემორანდუმი გავაფორმეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. ერთობლივად, სასწავლო პროცესთან თუ უნივერსიტეტების კულტურულ ცხოვრებასთან დაკავშირებით, უკვე მრავალი ღონისძიება ჩავატარეთ. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ჩვენთან გახსნა „მეგობრობის ენათა ცენტრი“, სადაც შავი ზღვის და ჩვენი უნივერსიტეტების პროფესორები თურქულ და ინგლისურ ენებს ასწავლიან. ჩვენი ურთიერთობა და თანამშრომლობა საკმაოდ ნაყოფიერია.

**– რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტთა მოთხოვნებს?**

– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 1997 წლიდან არსებობს და უნივერსიტეტის მნიშვნელოვან საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენს. აქ თავმოყრილია სამეცნიერო სასწავლო ლიტერატურა, საუნივერსიტეტო სპეციალობათა სრული კომპლექტი. ამჟამად ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 29 429 ბიბლიოგრაფიულ ერთეულს შეადგენს, მათ შორისაა 26 056 ეგზემპლარი წიგნი, 3373 ჟურნალი და 20 500 ელექტრონული წიგნი.

**– რა სახის სამეცნიერო კრებულები და ჟურნალები გამოიცემა სოხუმის უნივერსიტეტში?**

– უნივერსიტეტში ფუნქციონირებს გამომცემლობა, რომელიც გამოსცემს უნივერსიტეტის პერიოდულ ორგანოს – გაზეთს „სოხუმის უნივერსიტეტი“. ნებისმიერი თემის გაშუქებისას გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის გათვალისწინებით. გამომცემლობაში იკრიბება და



CMYK

## აირჩიეთ, სად ისწავლით

კაბადონდება, აგრეთვე, სხვადასხვა სახის სამეცნიერო კრებულები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები და პროგრამები. უკვე გამოიცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შრომების ექვსი ტომი.

აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტმა გამოსცა აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ ქართულ და აფხაზურ ენებზე, ვრცელი კომენტარებით. მეორე გამოცემა იქნება „ჰაკი აძბა“. სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს დიდი აფხაზურ-ქართული ლექსიკონის მოსამზადებლად. აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, შემოდგომიდან, დამატებით უხელმძღვანელებს აფხაზური ენის კურსებსაც.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს, ასევე, სამეცნიერო კონფერენციების მასალებსაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველურ ენათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გასულ წელს გამოცემული კრებულები.

**– სოხუმის უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში, რას ემსახურება ეს პროექტები?**

– სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს საჯარო სამსახურის დაძმობილების პროექტში **TWINNING.** პროექტის სახელწოდებაა: „საქართველოში ბოლონიის პროცესის ამოცანების განსახორციელებლად შესაძლებლობების გაძლიერება“. ეს პროექტი ემსახურება ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტში (**ENPI**) განსაზღვრული ზოგადი მიზნის შესრულებას, რომელიც, 2007-2010 წლების საქართველოს ეროვნული საჩვენებელი პროგრამის თანახმად, მიმართულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესებისაკენ, შესაბამისი ინსტიტუციების მხარდაჭერით, რომელიც უზრუნველყოფს ბოლონიის პროცესის რეფორმათა განხორციელებას და მოამზადებს ნიადაგს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში გასაერთიანებლად.

პროექტი გაზრდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სხვა მთავარი ინსტიტუტების ინდივიდუალურ (პროფესიონალურ) და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს ბოლონიის პროცესის ფარგლებში გათვალისწინებული რეფორმების განსახორციელებლად. აღნიშნული პროექტის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 2009-2011 წლებით. პარტნიორი ქვეყნებია: გერმანია და საფრანგეთი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურადაა ჩართული ევროკავშირის სხვადასხვა პროექტებში. **TEMPUS-IV**-ის საგრანტო კონკურსის ფარგლებში, რომლის მიზანია, უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პარტნიორებთან ერთად მოიპოვა გრანტი. საგრანტო პროექტის დასახელებაა – **„უმაღლესი განათლების სისტემის განვითარება სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის“.**

აღნიშნულ საგრანტო პროექტში ჩვენი უნივერსიტეტის პარტნიორები არიან: ევროკავშირის მხრიდან – ლატვიის, პორტუგალიისა და დიდი ბრიტანეთის, ხოლო ევროკავშირის პარტნიორი ქვეყნების მხრიდან – სომხეთის, უკრაინის და მოლდოვას უნივერსიტეტები.

### სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი 012

**მისამართი:** თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ჯიქიას) ქ. №9

**საკონტაქტო ტელეფონები:** 541406; ელ.ფოსტა: in o@ ou.e u.ge ვებ-გვერდი: www. ou.e u.ge

| | ფაკულტეტების დასახელება სპეციალობების მითითებით | სწავლების ენა | კრედიტების რაოდ. | წლიური გადასახადი | კონტინგენტი | ქართ. ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტურები I | II | III | კოეფიციენტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | |
| 01201 | **მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა** | ქართ. | 240 | 1500 | 60 | 2 | 3 | 2 | 5 | | | | | | | | | | 4-2-1-3 |
| | მათემატიკა და სტატისტიკა; კომპიუტერული ტექნოლოგიები. | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 01202 | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის** | ქართ. | 240 | 1500 | 70 | 2 | 4 | 2 | 4 | | 4 | | | 4 | 4 | | | | 4/6/9/10-2-1-3 |
| | ფიზიკა; ქიმია; ფიზიკური გეოგრაფია; ბიოლოგია; ფარმაცია; ეკოლოგია; ბიოსამედიცინო ინჟინერია. | | | | | | | | 40 | | 10 | | | 10 | 10 | | | | |
| 01203 | **იურიდიული** | ქართ. | 240 | 2000 | 60 | 3 | 3 | 3 | | 3 | | | | | | | | | 1-2-3-5 |
| | სამართალმცოდნეობა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 01204 | **განათლების** | ქართ. | 240 | 1500 | 60 | 3 | 3 | 3 | | 3 | | 3 | | | | | | | 1-2-3-5/7 |
| | დაწყებითი განათლება; სკოლამდელი აღზრდა; კორექციული პედაგოგიკა | | | | | | | | | 40 | | 20 | | | | | | | |
| 01205 | **ეკონომიკისა და ბიზნესის** | ქართ. | 240 | 2000 | 60 | 2 | 4 | 2 | 4 | | | | | | | | | | 4-2-1-3 |
| | ბიზნესი და მართვა; ეკონომიკა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 01206 | **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა** | ქართ. | 240 | 1500 | 90 | 4 | 2 | 3 | | 3 | | 3 | | | | | | | 1-3-5/7-2 |
| | ფილოლოგია (ქართული ენა და ლიტერატურა, აფხაზური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, სლავური ენები და ლიტერატურა); ისტორია; არქეოლოგია; აღმოსავლეთმცოდნეობა (თურქოლოგია). | | | | | | | | | 30 | | 60 | | | | | | | |
| 01207 | **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა** | ქართ. | 240 | 1750 | 60 | 3 | 3 | 3 | | 3 | | | | | | | | | 1-3-5-2 |
| | სოციოლოგია; ფსიქოლოგია; პოლიტიკური მეცნიერებები; საერთაშორისო ურთიერთობები. | | | | | | | | | | | | | | | | | | |


## სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი



## ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტებს

**ამჟამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორი ფაკულტეტი: სამართლის და ჰუმანიტარული (თეოლოგიის მიმართულებით).**

**უნივერსიტეტმა მორიგი აკრედიტაცია გაიარა 2009 წლის 24 დეკემბერს (გადაწყვეტილება №04 -116) .**

**სულხან-საბას უნივერსიტეტი გთავაზობთ საუკეთესო პირობებს კომფორტული სასწავლო გარემოს შესაქმნელად. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში. აუდიტორიები გათვლილია 25 სტუდენტზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტის მაქსიმალური ჩართულობა სასწავლო პროცესში.**

**უნივერსიტეტს აქვს ამიერკავკასიაში უმდიდრესი ბიბლიოთეკა თეოლოგია-ფილოსოფიის სფეროში, ასევე, უახლესი იურიდიული ლიტერატურა.**

**სამართლის ფაკულტეტი** გთავაზობთ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას. სტუდენტები გაივლიან პროგრამას, რომელიც ადგილობრივი თუ უცხოური წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების საფუძველზეა შედგენილი. პროგრამაში საგნებისა და მოდულების შერჩევა განპირობებულია იმ უახლესი მოთხოვნებითა და საჭიროებებით, რომელსაც გვიდგენს დასაქმების ბაზარი.

**ჰუმანიტარული ფაკულტეტი** გთავაზობთ თეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. შეისწავლება ქრისტიანული რწმენის საფუძვლები, ძველი და ახალი აღთქმის გადმოცემა, დოგმატური ღვთისმეტყველება, ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციები, ეკლესიისა და ხელოვნების ისტორია.

### რატომ ჩვენთან?

იმიტომ რომ უნივერსიტეტი გთავაზობთ ფართო შესაძლებლობებსა და თვითრეალიზაციის უნიკალურ შანსს.

**სწავლის საფასური**

- სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე – 2500 ლარი;
- თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე – 1700 ლარი;
- თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე – 5000 ლარი.

**დასაქმებაში ხელშეწყობა**

- სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომლებსაც წარუძღვებიან დარგის გამოჩენილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტები.
- პრაქტიკაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა
- უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა



მისამართი: თბილისი, გ. აბესაძის ქ.№6. ტელ.: (99522) 989516
ელფოსტა: info@sabauni.edu.ge

აირჩიეთ, სად ისწავლით

# საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ახალდებს მიღებას 2010–2011 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

### სასწავლებლის კოდი – 004

### განსაკუთრებული მოთხოვნები:

***დრამის ფაკულტეტი – შემოქმედებით ტურში იგულისხმება:***

*დრამისა და კინოს მსახიობი* – სამსახიობო /მხატვრული წარმოსახვა, მეტყველება, სმენა, რითმი, პლასტიკა/ მონაცემების შემოწმება.

*დრამის რეჟისურა* – წერა, გასაუბრება, რომელზეც აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები: სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი ჩანახატი (2-3 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით), ფოტოები, ნახატები, სტატიები.

**ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების მიმართულებით:**

*ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკა* – ვოკალური მონაცემების შემოწმება ქართული ხალხური სიმღერა;

ქართული საეკლესიო გალობა, სოლფეჯიო, ფორტეპიანო, დირიჟორობა, გასაუბრება.

*ქართული ცეკვის ქორეოგრაფი* – ქართული ცეკვა, გასაუბრება.

**პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის:**

*სცენის ტექნოლოგია და დიზაინი* – პრაქტიკული დავალების შესრულება (ხატვა), გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.

*ქორეოგრაფი-რეპეტიტორი /კლასიკური ცეკვები/* – კლასიკური ცეკვა, გასაუბრება.

*სანახაობრივ ღონისძიებათა დიზაინი* – პრაქტიკული დავალების შესრულება (ხატვა), გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.

*საესტრადო ვოკალი* – ვოკალური მონაცემების შემოწმება, სიმღერა, გასაუბრება.

**კინო-ტელე ფაკულტეტი – შემოქმედებით ტურში იგულისხმება:**

*მხატვრული კინოს რეჟისურა* – წერა, გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი – 2-3 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ნახატები, ფოტოები, სტატიები).

*ტელერეჟისურა* – წერა, გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი – 2-3 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ნახატები, ფოტოები, სტატიები).

*ანიმაციური ფილმის რეჟისურა* – წერა, გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი – 2-3 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ნახატები, ფოტოები, სტატიები).

*ხმის რეჟისურა* – გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი – 2-3 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ნახატები, ფოტოები, სტატიები).

*საოპერატორო (კინო/ტელე)* – პრაქტიკული დავალების შესრულება: ფოტოგრაფირება (ნატურაზე და პავილიონში), გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.

*აუდიო-ვიზუალური მედიახელოვნება /მედიაკომუნიკატორი/* – გასაუბრება, მეტყველების ტექნიკისა და კულტურის შემოწმება.

**პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამებისათვის:**

*მხატვრული ფოტოგრაფია* – გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ფოტოები, ნახატები.

*კინოდრამატურგია* – გასაუბრება. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევრები (სცენარი, მოთხრობა, ნარკვევი – 2 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით, ნახატები, ფოტოები, სტატიები).

## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

| კოდი | ფაკულტეტებისა და უმაღლესი პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი | სწავლების ენა | კრედიტ რაოდენობა | წლიური გადასახადი | ჩასარიცხი კონტინგენტი | ქართული ენა და ლიტ. | ზოგადი უნარები | უცხოური ენა | მათემატიკა | ისტორია | გეოგრაფია | ლიტერატურა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | შემოქმედებითი ტური | პრიორიტეტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | |
| 004-01 | **დრამის ფაკულტეტი** | ქართული | 240 | 2250 | 86 | | | | | | | | | | | 12 | 11 |
| | **დრამის მიმართულება** | | | | | | | | | | | | | | | | |
| | დრამისა და კინოს მსახიობი; დრამის რეჟისორი | ქართული | 240 | 2250 | 51 | | | | | | | | | | | სამსახიობო მონაცემები,, შემოქმედებითი წერა, გასაუბრება | 11 |
| | **ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების მიმართულება** | ქართული | 240 | 2250 | 35 | | | | | | | | | | | 12 | 11 |
| | ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკა, ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი | | | | | | | | | | | | | | | სიმღერა, ცეკვა, გასაუბრება | 11 |
| | **პროფესიული უმაღლესი პროგრამები** | | | | | | | | | | | | | | | 12 | 11 |
| 004-01-1 | სცენის ტექნოლოგია და დიზაინი | ქართული | 150 | 2250 | 15 | | | | | | | | | | | ხატვა, გასაუბრება | 11 |
| 004-01-2 | ქორეოგრაფი-რეპეტიტორი /კლასიკური ცეკვები/ | ქართული | 120 | 2250 | 10 | | | | | | | | | | | კლასიკური ცეკვა, გასაუბრება | 11 |
| 004-01-3 | სანახაობრივ ღონისძიებათა დიზაინი | ქართული | 150 | 2250 | 15 | | | | | | | | | | | ხატვა, გასაუბრება | 11 |
| 004-01-4 | საესტრადო ვოკალი | ქართული | 150 | 2250 | 10 | | | | | | | | | | | სიმღერა, გასაუბრება | 11 |
| | **კინო-ტელე ფაკულტეტი** | | | | | | | | | | | | | | | 12 | 11 |
| 004-02 | რეჟისორი /მხატვრული კინოს რეჟისორი; ტელერეჟისორი, ანიმაციური კინოს რეჟისორი, ხმის რეჟისორი/ საოპერატორო /კინო * ტელე/; აუდიო-ვიზუალური მედიახელოვნება /მედიაკომუნიკატორი/ | ქართული | 240 | 2250 | 61 | | | | | | | | | | | შემოქმედებითი წერა, გასაუბრება | 11 |
| | **პროფესიული უმაღლესი პროგრამები** | | | | | | | | | | | | | | | 12 | |
| 004-02-1 | მხატვრული ფოტოგრაფია | ქართული | 120 | 2250 | 25 | | | | | | | | | | | გასაუბრება | 11 |
| 004-02-2 | კინოდრამატურგია | ქართული | 150 | 2250 | 10 | | | | | | | | | | | გასაუბრება | 11 |
| 004-03 | **ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი** | ქართული | 240 | 2250 | 58 | 5 | 2 | 3 | | | | 2 | | | | | |
